

სეზონის საუკეთესო მატჩი

“დინამო” (თბილისი) – ცდკა. 2:2 (1:1).

თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 17 სექტემბერი.

მსაჯი: ვ. ფრიდმანი (ლენინგრადი).

40.000 მაყურებელი მქუხარე ოვაციებით შეეგება მწვანე მინდორზე ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდების – ცდკა-სა და თბილისის “დინამოს” გამოსვლას.

ტრადიციული ცერემონიალი და მატჩი დაიწყო. არმიელთა სპორტულ ღირსებას იცავენ: ნიკანოროვი, ჩისტოხვალოვი, ბაშაშვილი, ნირკოვი, ვოდიაგინი, პეტროვი (როდინი), გრინინი, ნიკოლაევი, დიომინი, სოლოვიოვი, კოვერზნევი. მასპინძელთა რიგებში არიან: მარლანია, ელოშვილი, ძიაპშა, სარჯველაზე, პანიკოვი, ანთაძე, ჭოჭა, მახარაძე, ვარდიმიადი, ღოლობერიძე, თოლია.

პირველი წუთები მოწინააღმდეგებმა ერთმანეთის სუსტი ადგილების ძიებას მოანდომეს, მაგრამ ნათელი გახდა, რომ ამ დღეს სუსტად არც ერთი რგოლი არ აპირებდა თამაშს – ორივე გუნდისთვის მეტად საჭირო იყო გამარჯვება.

არმიელები იერიშებს გაშლილი ფრონტით ანარმოებენ, თავდამსხმელები სწრაფად და საზრიანად იცვლიან ადგილებს, კომბინაციებს დაუყოვნებლივ ახორციელებენ და თავისუფალ ადგილზე გაჰყავთ რომელიმე პარტნიორი. ამავე დროს დიდ აქტივობას იჩენს შეტევაში ვოდიაგინი.

თბილისელები პირველ ხანებში იძულებული არიან უმთავრესად თავდაცვითი ბრძოლა ანარმონ, მაგრამ დრო და დრო მძაფრ კონტრიერიშებს ავითარებენ. საუცხოოდ მოქმედებს დინამოელთა დაცვა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან სარჯველაძე, პანიკოვი და ანთაძე. ამავე დროს ჭოჭა და ვარდიმიადი რამდენიმე კარგად წამოწყებული კომბინაციის განვრძობას ვერ ახერხებენ. თავდამსხმელთა რიგებს ერთგვარი წერველი შეზღუდულობა ეტყობა.

ასე, მძაფრ ასპარეზობაში გადის 13 წუთი. და აი, ღოლობერიძე ოსტატურად გადის მარჯვენა ფლანგზე, უსხლტება ნირკოვს და ბურთს კარის გასწვრივ აწოდებს. წუთი და კინებატოვრაფის სისწრაფით წინ გამოჭრილი ანთაძე შეუჩერებლივ, ძლიერად ურტყამს კარში. ნიკანოროვი სხარტი ნახტომით ახერხებს ბურთის უკუგდებას და შემდეგ, მეორე ნახტომით ეუფლება მას.

ეს იყო პირველი დარტყმა კარში. დაახლოებით მე-20 წუთიდან თამაში ცვალებად ვითარებაში მიმდინარეობს. მანამდე არმიელთა ტერიტორიული უპირატესობა თბილისელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ქარნულდება, სადაც ძიაპშა, ელოშვილი და სარჯველაძე ურთიერთდაზღვევის შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებენ.

24-ე წუთზე ნიკოლაევი მარცხნიდან სწრაფად შედის საჯარიმო მოედანში და ბურთს მძლავრი დარტყმით კარისკენ აგზავნის, მაგრამ ბურთი ხვდება ძელს და სკილდება პირით ხასს. ცოტა ხნის შემდეგ არმიელები საჯარიმოს დარტყმას მშვენიერი კომბინაციის საწყის ფაზად იყენებენ – გრინინი ბურთს ნიკოლაევს აწვდის, რომელიც გადის მარჯვენა დროშასთან და კარის გასწვრივ აწოდებს ბურთს. მძაფრი მომენტი და სოლოვიოვი ახლო მანძილიდან ხსნის ანგარიშს. 1:0.

მიღებულმა გოლმა ახალი სიცხოველე შეიტანა თბილისელთა რიგებში. ჭოჭამ გამოაკეთა თამაში და თოდრიასთან ერთად ორი მეტად მწვავე გარღვევა მოახდინა. 41-ე წუთზე მახარაძემ ბრნულებალედ დაამუშავა ბურთი და ოსტატურად გაუგდო იგი ჭოჭას. ბურთს ეძგერნენ ნირკოვი და ბაშაშვილი, მაგრამ ერთმანეთს შეუშალეს ხელი და ჭოჭამ ყუმბარისებრი დარტყმით იგი ბადეში გაახვია. 1:1.

კიდევ ორი მძაფრი მომენტი ცდკა-ს საჯარიმო მოედანზე, მაგრამ უშედეგოდ. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმი, გარდა ბოლო 20 წეთისა, თბილისელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა. მე-2 წეთია. მახარაძეს კარგად გაჰყავს გარღვევაზე ვარდიმიადი. ძლიერი დარტყმა, მაგრამ ბურთი კარის გასწრივ მარცხენა მხარეს მიდის, აქ თოდრია ეუფლება მას. ცხარე ბრძოლა ბაშაშვინთან და ჩისტოხვალოვთან...

მე-7 წეთზე მახარაძე მოედნის ცენტრში ბურთს სოლოვიოვს ართმევს და სწრაფად უახლოვდება არმიელთა საჯარიმო ბაქანს... მძლავრად დარტყმული ბურთი ოდნავ სცილდება კარს.

არმიელთა თავდამსხმელები ცდილობენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ტემპის ბატონ-პატრონი თბილისელები არიან. გრინინი უკან იხევს და თავის საჯარიმო მოედნიდან ცდილობს კომბინაციების წამონაცემას.

ტემპი, ტემპი!... იგრძნობა თბილისელთა ყოველ მოძრაობაში. ამ დროს გრინინი, ნიკოლაევი და დიომინი ზედიზედ რამდენიმე ლამაზ კომბინაციას გაითამაშებენ, მაგრამ მასპინძელთა დაცვა გადაულახავ ზღუდედაა აღმართული.

მე-10 და მე-11 წეთზე დინამოელებმა მარჯვენა ფლანგზე ლატატური "სამკუთხედი" გაითამაშეს (ჟერ ვერდიმიადი-პანიუკოვი-ვარდიმიადი, შემდეგ ვარდიმიადი-ჭავჭავა-ვარდიმიადი), მაგრამ არაზუსტად დაარტყეს კარში. ნიკანოროვი ხშირად ებმება თამაშში, მარღანიას კი უმთავრესად ფლანგებიდან დარტყმული ბურთებისა და პარალელური გადაცემების უვნებელყოფა უხდება.

აი, პანიუკოვი სწრაფი ფინტით უკან იტოვებს დიომინს, გადის მარჯვნივ წინ და ბურთს მძლავრად გზავნის ცდკა-ს საჯარიმო მოედანზე. ნიკანოროვი გამორბის კარიდან, მაგრამ ბურთს რაღაც მეათედი წამით უსწრებს ღოლობერიძე და... ანგარიშია 2:1.

არნახული ტემპი კიდევ უფრო იზრდება. მე-16 წეთზე ვარდიმიადი ბაშაშვინთან პირისპირ რჩება, მაგრამ ვერ ახერხებს მის "შემოვლას" (აქ ბევრმა ინატრა ბორის პაიჭაძე). ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, რომ თანამედროვე ფეხბურთის არსენალში დრიბლინგს ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავს.

მე-18 წეთზე დიომინი და კოვერზნევი მწვავედ უტევენ, მაგრამ კოვერზნევი კარგავს ბურთს.

25-ე წეთიდან არმიელები ძლიერ იერიშს ავითარებენ და აი აქ საბედისწერო შეცდომას უშვებენ თბილისელები: დაცვაზე გადადიან, ტემპს თმობენ და შეტევაზე აღარ ფიქრობენ. მახარაძე და ღოლობერიძე უკან იხევენ და, მართალია, ნაყოფიერად მუშაობენ დაცვაში, მაგრამ წინ დარჩენილი სამეულის (თოდრია, ვარდიმიადი, ჭავჭავა) ბურთებით მომარაგებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

ცდკა იმეორებს თბილისში 1948 წელს ჩატარებულ ექსპერიმენტს (მაშინ უშედეგოს) – ყველა ფეხბურთელი (გარდა ნიკანოროვისა, რომელიც თავისი ცენტრალური მცველის სექტორში იკავებს ადგილს?!?) მონინაალმდევის საჯარიმო მოედანთან მიდის. მარღანია დრო და დრო ბურთს ვეღარც კი ხედავს, ნერვიულობს...

მატჩის დამთავრებას აკლია ორი წეთი. თბილისელთა კართან შეჯგუფდა 21 ფეხბურთელი და "უყურადღებოდ" მიტოვებული დიომინი ზუსტი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს _ 2:2.

შეხვედრა მთავრდება ფრედ.

ეს იყო ნამდვილი "დიდი ფეხბურთი", რომელმაც გამოამულავნა საბჭოთა ფეხბურთის სკოლის დამახასიათებელი თვისებები.

უაღრესად მწვავე და დაძაბული, სამსაჯოდ ძნელი მატჩი კარგად ჩატარა ვ. ფრიდმანმა.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს არმიელებმა _ 2:1.

მ. კაკაბაძე.

"ლელო", 22 სექტემბერი 1950 წ.